ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N24

გამარტივებული შესყიდვა

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N538 განკარგულების, 2020 წლის 18 მარტის N554 განკარგულების და 2020 წლის 20 მარტის N576 განკარგულების შესაბამისად)

დაფინანსების წყარო 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

ქ. თბილისი **30 დეკემბერი 2020 წელი**

სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს #4; ტელეფონი: 2 436999; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის **მედეა ჯანიაშვილის** სახით და **შპს ვივამედი** (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., ნაკვეთი 14/470. საიდენტიფიკაციო კოდი: 404879663; სს ,,საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის ნომერი: GE20BG0000000834554500) შემდგომში წოდებული ''მიმწოდებლად'', წარმოდგენილი მისი დირექტორის **მირვარდი მურადოვის** სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სასტუმრო მომსახურება

(Covid-19-ის რისკ-ჯგუფში მყოფი ბრალდებულების და მსჯავრდებულების, მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან/და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საკარანტინო სივრცეებში განთავსების მიზნით)

(CPV 55110000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **600 000.00** (ექვსასი ათასი ლარი და 00 თეთრი) **ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. მომსახურების გაწევის ვადა: **2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 01 მარტამდე.**

3.4. მომსახურების გაწევის ადგილია: **თბილისი დ. აღმაშენებელის ხეივანი N234**, **შპს ,,ვივამედი“.**

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს: **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს სამეურნეო და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების შესყიდვების კოორდინატორი სალომე კვარაცხელია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი ან თუ

ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
6.4 თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
6.5 მომსახურების მიღებას აწარმოებს: **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს სამეურნეო და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების შესყიდვების კოორდინატორი სალომე კვარაცხელია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების პირობები:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება, თვეში ერთხელ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ წერილობით წარმოდგენილი, დადასტურებული, გადამოწმებული მონაცემების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არა სამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
8.3 მხარეები თანხმდებიან, რომ როგორც მომსახურების თანხის ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან, **მოქმედებს 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე როგორც შემსყიდველისთვის, ასევე მიმწოდებლისთვის.

17 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილის, სანაპიროს ქ #4
ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები: ა/ნGE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22.
ს/კ - 204578206

მიმწოდებელი
შპს ,,ვივამედი”
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., ნაკვეთი 14/470
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE20BG0000000834554500
ს/კ- 404879663

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
მედეა ჯანიაშვილი

დირექტორი
მირვარი მურადოვი

№	საწოლის რაოდენობა	ბრალდებულის/მსჯავრდებულის 1 საწოლდღის ღირებულება სამჯერადი კვებით
1	75	153.40 ლარი

შემსყიდველი
სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილის, სანაპიროს ქ #4
ტელეფონი: 2 436999
საბანკო რეკვიზიტები: ა/ნGE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22.
ს/კ - 204578206

მიმწოდებელი
შპს „ვივამედი"
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., ნაკვეთი 14/470
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE20BG0000000834554500
ს/კ- 404879663

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
მედეა ჯანიაშვილი

დირექტორი
მირვარი მურადოვი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სასტუმრო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2020 წლის 30 დეკემბრის N24** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	მედეა ჯანიაშვილი
ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი	სალომე კვარაცხელია